





უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულება

ქ. თბილისი --- აპრილი 2015 წელი

ერთი მხრივ : შპს „ჭავჭავაძის 64ბ“ (საიდენტიფიკაციო კოდი:404890891, მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 64) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლუარა ალშიბაიას მიერ;

და

მეორე მხრივ სს „თელასი“ (საიდენტიფიკაციო კოდი:202052580, მისამართი: ქ. თბილისი, ვაწის ქ N3) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის სერგეი კობცევის მიერ;

ვინაიდან:

- სს „თელასი“ და შპს “ჭავჭავაძის 64 ბ” საკუთრების უფლებით ფლობენ უძრავ ქონებებს;
- მხარეებს აქვთ სურვილი მოახდინონ აღნიშნული უძრავი ქონებების გაცვლა და საკუთრების ურთიერთგადაცემა;
- წინამდებარე წინარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის შპს “ჭავჭავაძის 64 ბ”-ს მიერ სს „თელასისთვის“ გადასაცემი უძრავი ქონება არის მშენებარე, არ არის გამოყნული მთლიანი მშენებლობიდან და არ არის რეგისტრირებული ცალკე უფლების ობიექტად;

მხარეები ვდებთ წინამდებარე გაცვლის წინარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით მხარეები იღებენ ვალდებულებას გაცვალონ მათ საკუთრებაში არსებული ხელშეკრულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული უძრავი ქონებები და მოახდინონ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემა.
2. გასაცვლელ უძრავ ქონებას წარმოადგენს:
   ა) სს „თელასის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ი.მოსაშვილის ქუჩა N3ა, საკადასტრო კოდით: 01.14.11.002.013; საერთო ფართით 43კვ.მ. და ელ.ქვესადგური (შენობა-ნაგებობა).
   ბ) შპს “ჭავჭავაძის 64ბ”-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 64-ში საკადასტრო კოდით: 01.14.11.002.036;) ფართი 100 კვ.მ, მდებარე -1 სართულზე.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება, დათქმულ დროსა და ადგილზე.
2. გაცვლის ხელშეკრულების გაფორმებისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემისათვის, მხარეები იღებენ ვალდებულებას:

   ა) 2017 წლის მაისამდე განხორციელდეს შპს “ჭავჭავაძის 64 ბ”-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებაზე (საკადასტრო კოდი #01.14.11.002.036) მშენებლობის დასრულება, დასრულებული

შენობა-ნაგებობიდან სს „თელასისთვის“ გადასაცემი 100 კვ.მ-ის ფართის გამოყვნა და ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაცია.

ბ) სს „თელასი“ ვალდებულია შპს “ჭავჭავაძის 64 ბ”-ს სასარგებლოდ გასცეს მშენებლობის განხორციელებისათვის აუცილებელი ყველა თანხმობა/ნებართვა, არ შეაფერხოს ამგვარი ნებართვისა თუ თანხმობის გაცემის პროცესი.

გ) სს „თელასმა“ უნდა უზრუნველყოს უძრავ ქონებაზე, რომლის საკადასტრო კოდია: 01.14.11.002.013 არსებული ელ.მეურნეობის დემონტაჟი შპს “ჭავჭავაძის 64 ბ”-ს მიერ წინამდებარე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

დ) სს „თელასის“ საკუთრებაში გადასაცემი ფართის ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციის შემდეგ, გასაცვლელი უძრავი ქონებების (მიწის) შეფასების მიზნით მხარეები მიმართავენ აუდიტს, აუდიტის შესაბამისი დასკვნის წარმოსადგენად. თითოეული მხარე გაიღებს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეფასების ხარჯს.

ე) მხარეები ვალდებული არიან გაცვლის ხელშეკრულების რეგისტრაციის მომენტისათვის უზრუნველყონ უძრავი ქონებების უფლებრივი უნაკლოობა.

ვ) შპს “ჭავჭავაძის 64 ბ” ვალდებულია არ შეაფერხოს #3312 ელ.ქვესადგურიდან სს „თელასის“ აბონენტების ელექტრო მომარაგებას.

ზ) უძრავ ქონებებზე საბოლოო გაცვლის ხელშეკრულების რეგისტრაციიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში შპს “ჭავჭავაძის 64 ბ”-მ საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს: სს „თელასზე“ გადაცემულ 100 კვ.მ ფართზე სს „თელასთან“ წინასწარ შეთანხმებული ხარისხის მშრალი ტიპის ტრანსფორმატორის შესყიდვა/მონტაჟი და სს „თელასისთვის“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, არსებული მოქმედი 0,4-6/10 კვ კაბელების გადამონტაჟება ახალ სატრანსფორმატორო ქვესადგურში და 0,4-6/10 კვ სათავსოში გამანაწილებელი მოწყობილობების მონტაჟი.

3. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მხარეები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგენენ საბოლოო გაცვლის ხელშეკრულებას უძრავ ქონებებზე საკუთრების ურთიერთგადაცემის რეგისტრაციისათვის.
4. მხარეები აცხადებენ, რომ გაცვლის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის სრულად უზრუნველყოფენ გასაცვლელი ქონებების უფლებრივ და ნივთობრუვ უნაკლოობას.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

1. მხარე პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და ამგვარი შეუსრულებლობით მხარისათვის მიყენებულ ზიანზე.
2. ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია საპატიოდ ჩათვალოს მეორე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა და განისაზღვროს დამატებითი ვადა შესრულებისათვის, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა ან ნაკლოვანი შესრულება გამოწვეულია მესამე პირების (კონტრაქტორის, ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო რეესტრი და სხვა) მიერ დაბრკოლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია იმ მხარის ბრალით, რომელიც ვერ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებებს.
3. მხარე პასუხს არ აგებს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ამგვარი შეუსრულებლობა განპირობებულია ფორს-მაჟორული გარემოებებით, რომლებიც დადგა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, რომლის დაძლევა აღემატება მხარის შესაძლებლობას და რომელმაც უშუალო ზემოქმედება მოახდინა ვალდებულების შესრულებაზე. ფორს-მაჟორულ გარემოებებს ბუნებრივი კატაკლიზმების გარდა მიეკუთვნება ტერორისტული აფეთქებები, საომარი მოქმედებანი და სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილებანი.

მუხლი 5. გამოყენებული სამართალი და დავების გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
2. მხარეები ვალდებული არიან ნებისმიერი უთანხმობა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით, პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებებით.
3. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, თითო თითოეული მხარისათვის.
2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების, რომელიმე დებულება ბათილია ეს არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას, ხელშეკრულება განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე, ხოლო ბათილი დებულება შეიცვლება იმ დებულებით, რომელიც ყველაზე სამართლებრივად სწორად გამოხატავს ხელშეკრულებისა და ამ ბათილი დებულების მიზანს.
3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა მიერ შესაბამისი ორმხრივი, წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.
4. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის მიღებული აქვთ ყველა შიდა კორპორატიული თანხმობა, გააჩნიათ სრული უფლებამოსილება ხელშეკრულების დასადებად და ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად.
5. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ნოტარიუსის თანდასწრებით.

მხარეთა ხელმოწერები

შპს „ჭავჭავაძის 64ბ“
საიდენტიფიკაციო კოდი 404890891
მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 64
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71
დირექტორი ლუარა ალუბარდა

სს „თელასი“
საიდენტიფიკაციო კოდი 202052580
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვანის ქ. #3
გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი

Договор, заключаемый до обмена недвижимого имущества

г. Тбилиси **____апреля 2015 г.**

С одной стороны: ООО „Чавчавадзе 64Б" (идентификационный код:404890891, адрес: г. Тбилиси, ул. Чавчавадзе 64), в лице Директора Луары Алшибая;

и

с другой стороны АО „Теласи" (идентификационный код:202052580, адрес: г. Тбилиси, ул. Ванская N3) в лице Генерального директора Сергея Кобцева;

Поскольку:

- АО „Теласи" и ООО "Чавчавадзе 64 Б" владеют недвижимым имуществом с правом собственности;
- Стороны желают обменять указанное недвижимое имущество и взаимопередачу собственности;
- К моменту подписания настоящего Договора, недвижимое имущество, передаваемое ООО "Чавчавадзе 64 Б" АО „Теласи" находится в процессе строительства, не размежевано от целого строительства и не зарегистрировано в качестве объекта с отдельным правом.

Стороны заключают настоящий Договор об обмене о следующем:

Статья 1. Предмет Договора

1. Заключением настоящего Договора стороны обязуются обменять недвижимое имущество, указанное в пункте 2 статьи 1 Договора, и осуществить взаимопередачу прав собственности на недвижимое имущество.
2. Подлежащим обмену недвижимое имущество является:

   а) принадлежащее АО „Теласи" недвижимое имущество, расположенное по адресу: г. Тбилиси, ул. И. Мосашвили N3А, кадастровый код: 01.14.11.002.013; общая площадь 43 кв.м и электрическая подстанция (здание-сооружение).

   б) Недвижимое имущество, находящееся в собственности ООО "Чавчавадзе 64Б", (адрес: Г. Тбилиси, ул. Чавчавадзе 64, кадастровый код: 01.14.11.002.036;) площадь 100 кв.м,, расположение -1 этаж.

Статья 2. Права и обязанности сторон

1. Стороны правомочны требовать полного и надлежащего выполнения предусмотренных настоящим Договором обязательств в оговоренном месте и сроке.
2. Для оформления Договора об обмене и взаимопередачи права собственности на недвижимое имущество, стороны обязуются:
   а) До мая 2017 года завершить строительство недвижимого имущества, находящегося в собственности ООО "Чавчавадзе 64 Б" (кадастровый код #01.14.11.002.036), из завершённых зданий-сооружений, подлежащих передаче АО «Теласи», размежевание площади в 100 кв.м. и регистрации объектом с отдельным правом.
   б) АО „Теласи" обязано в пользу ООО "Чавчавадзе 64 Б" выдать все разрешения/согласия, необходимое для осуществления строительства, не препятствовать процессу выдачи такого разрешения/согласия.

Дата	ФИО переводчика	Проверил:
20.04.2015	Т. Пааташвили	Руководитель отдела Т. Маруашвили

в) В течение 30 (тридцати) календарных дней с выполнения ООО «Чавчавадзе 64Б» обязательства по подпункту "ж" настоящего пункта, АО «Теласи» должно обеспечить демонтаж эл. хозяйства, расположенного на недвижимом имуществе, кадастровый код которого: 01.14.11.002.013;

г) После регистрации объектом с отдельными правами площади, передаваемой в собственность АО „Теласи" в целях оценки обмениваемого недвижимого имущества (земли), стороны обращаются в аудит, для представления соответствующего аудиторского заключения. Каждая сторона сама несёт расходы по аудиторской оценке находящегося в их собственности недвижимого имущества.

д) Стороны обязаны к моменту регистрации Договора об обмене обеспечить правовую безупречность подлежащего обмену недвижимого имущества.

е) ООО "Чавчавадзе 64 Б" обязано не препятствовать электроснабжению абонентов АО «Теласи» из эл. подстанции №3312.

ж) В течение 45 (сорока пяти) календарных дней после регистрации окончательного договора об обмене недвижимого имущества ООО "Чавчавадзе 64 Б" на собственные средства должно обеспечить закупку/монтаж трансформатора сухого типа заранее согласованного качества на переданной АО «Теласи» площади в 100 кв.м. и безвозмездно передать в собственность АО «Теласи», перемонтировать существующие действующие 0,4-6/10 кВ кабели на новую трансформаторную подстанцию и смонтировать 0,4-6/10 кВ распределительное устройство в подсобном помещении.

3. В течение 10 (десяти) календарных дней с выполнения обязательств, определённых подпунктами „а", „б", „г", „д", „е" пункта 2 статьи 2 настоящего Договора Стороны представят окончательный Договор об обмене имущества в Национальное агентство публичного реестра Министерства юстиции Грузии для регистрации взаимопередачи права собственности на недвижимое имущество.
4. Стороны заявляют, что к дате подписания Договора об обмене полностью обеспечат вещную и правовую безупречность подлежащего обмену имущества.

Статья 3. Срок действия Договора

1. Настоящий Договор входит в силу со дня его подписания сторонами и действует до полного выполнения сторонами взятых обязательств.

Статья 4. Ответственность

1. Сторона несёт ответственность за невыполнение взятых по Договору обязательств и ущерб, причинённый таким невыполнением.
2. Каждая сторона Договора обязана считать уважительным невыполнение другой стороной взятых обязательств и определить дополнительный срок для выполнения, если невыполнение обязательств, или некачественное выполнение вызвано препятствием третьих сторон (контрактор, местные органы самоуправления г. Тбилиси, Публичный реестр и др.), кроме случаев, когда такое невыполнение вызвано стороной, которая не может выполнить, или выполняет недолжным образом свои обязательства.
3. Сторона не несёт ответственность за невыполнение обязательств, если такое невыполнение обусловлено форс-мажорными обстоятельствами, которые наступили после подписания настоящего Договора, преодоление которых превышает возможности сторон и которые оказали непосредственное воздействие на выполнение обязательств. Помимо природных катаклизм, к форс-мажорным обстоятельствам относятся террористические взрывы, военные действия и

решения высших органов государственной власти либо органов местного самоуправления.

Статья 5. Применяемое право и порядок решения споров

1. Договор заключён в соответствии с Законодательством Грузии и будет интерпретироваться в соответствии с Грузинским законодательством.
2. Стороны обязаны решить любое разногласие взаимной договорённостью путём прямых, неофициальных переговоров.
3. Если в течение 30 (тридцати) календарных дней с начала таких переговоров стороны не смогут решить спорный вопрос путём взаимной договорённости, любая сторона с целью решения спора может обратиться в суд Грузии в установленном порядке.

Статья 6. Заключительные положения

1. Настоящий Договор составлен на грузинском языке, в 2 (двух) экземплярах, имеющих равную юридическую силу, по одному экземпляру для каждой стороны.
2. Если какое-либо положение настоящего Договора будет недействительно, это не вызовет недействительность всего Договора, он продолжит действовать без недействительного положения, а недействительное положение будет заменено положением, которое юридически наиболее верно выражает цель Договора и этого недействительного положения.
3. Настоящий Договор может быть изменён путём оформления между сторонами соответствующего двустороннего, письменного соглашения.
4. Стороны заявляют, что для подписания настоящего Договора они получили все необходимые внутренние корпоративные разрешения, имеют полное полномочие на заключение Договора и выполнение обязательств по Договору.
5. Договор подписан в присутствии нотариуса.

Подписи сторон:

ООО «Чавчавадзе 64Б»
Идентификационный код 404890891
Адрес: г. Тбилиси, ул. Чавчавадзе 64,
Юридический адрес: г. Тбилиси, пр. Важа Пшавела #71
Директор Луара Адзибая

АО «Теласи»
Идентификационный код 202052580
Юридический адрес: г. Тбилиси, ул. Ванская №3
Генеральный директор
Сергей Кобцев

Дата	ФИО переводчика	Проверил:
20.04.2015	Т. Пааташвили	Руководитель отдела Т. Маруашвили

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150412616
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.04.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლუიზა ცხადაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 0790943164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	82711418754115

დღეს, ორიათას თხუთმეტი წლის ოცდარვა აპრილს, მე, საქართველოს ნოტარიუს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. #23, მომმართა მომმართა ბატონმა გიგი სისვაძემ (დაბ. 28.01.1987 წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ურიდიას ჩიხი #6, ბ/მ #ბ 0940908, პირადი #01036001566, გაცემული სრს ნაძალადევის სამსახურის მიერ 10.07.2006 წ. მოქმედების ვადა: 10.07.2016 წ_მდე) რომელმაც განაცხადა, რომ ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს (მარეგისტრირებელი ორგანო: დიდუბის რაიონის სასამართლო, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 14.05.1995, სახელმწიფო რეგისტრაციის #2/7-1, საიდენტიფიკაციო ნომერი 202052580, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ვანის ქ. #3, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო /არაკომერციულ/ იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: -) არ შეუძლია სანოტარო ბიუროში გამოცხადება და მას როგორც ამ საზოგადოების გენერალურ დირექტორს სურს წინამდებარე უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის ნამდვილობის დადასტურება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვანის ქ. #3. მე ვეახელი ბატონ სერგეი კობცევს აღნიშნულ მისამართზე, და დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად სურდა წინამდებარე უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულებაზე თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დადასტურება. სერგეი კობცევს განემარტა წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი. მე დავადგინე სერგეი კობცევის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად სერგეი კობცევს (დაბ. 17 დეკემბერი 1972 წ. რუსეთში, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი მოსკოვი, პირიევის ქუჩა #9/2, ბინა 145, პასპორტი RUS 64N 4840126, გაცემული ფმსს 857 მიერ 13.04.2012 წელს, მოქმედების ვადა: 13.04.2017 წლამდე) დავუდასტურე ხელმოწერის ნამდვილობა წარმოდგენილ წინამდებარე უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულებაზე. სერგეი კობცევმა ყოველივე ზემოთქმული განაცხადა რუსულ ენაზე. განაცხადა ასევე, რომ რომ ის არ ფლობს ხელშეკრულების შედგენისას გამოყენებულ სახელმწიფო ენას და დამწერლობას, მისი სურვილით ქართული ენიდან რუსულ ენაზე ხელშეკრულების ტექსტის გადასათარგმნად მონვეული იქნა მის მიერ შერჩეული თარჯიმანი თინათინ პაატაშვილი. მე დავადგინე თარჯიმნის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თინათინ პაატაშვილმა (დაბ. 29.07.1965 წ. ბ/მ #დ 0027398, პირადი #01020001514, გაცემული თბილისის ნაძალადევის რ-ნის მს I ქვეგანყოფილების მიერ 08.08.1995 წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ზედამზის ქ. მე-2 შესახვევი #12; დიპლომი ФБ-1 N 067874, გაცემული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) მიიღო მონაწილეობა ხელშეკრულების შინაარსის გადათარგმნაში; თინათინ პაატაშვილმა განაცხადა, რომ ფლობს რუსულ ენას და ჯეროვნად უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების თარგმანს. მან თანხმობა განაცხადა თარჯიმნად ყოფნაზე და წარმოადგინა თავის სახელზე გაცემული დიპლომი ФВ-I #067874 გაცემული ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მათ განვუმარტე წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე თავიანთი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მათ განაცხადეს, რომ ხელშეკრულებაზე მათი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. შემდეგ, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ხელშეკრულებაზე. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შესრულებულია და დოკუმენტი გაცემულია ორ /2/ ეგზემპლარად.
შენიშვნა: დოკუმენტი შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე, სერგეი კობცევმა ხელი მოაწერაქართულ და რუსულ ვარიანტზე შედგენილ ტექსტზე. ხოლო თინათინ პაატაშვილმა ხელი მოაწერა ხელშეკრულების მხოლოდ რუსული ვარიანტის სამ-სამ გვერდზე,
სს "თელას''-მა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური: სერგეი კობცევის თითოეული ხელმონერისათვის ორი /2.00/ ლარი, და 00 თეთრი, თინათინ პაატაშვილის თითოეული ხელმონერისათვის ორი /2.00/ ლარი, და 00 თეთრი, + ოცი ლარი და 00 თეთრი, /20.00/
საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთვრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 507 დადგენილების 31.3, 34.2 და ასევე 39.1 მუხლების თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი. სულ გადახდილია ორმოცი ლარი და 00 თეთრი, /40.00/
მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ ნინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმონერა ნამდვილად სერგეი კობცევს და თარჯიმანს - თინათინ პაატაშვილს მისთვის ცნობილი საშუალებით.
ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150414166
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.04.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლუიზა ცხადაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 0790943164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	80658932586215

დღეს, ორიათას თოთხმეტი წლის ოცდარვა აპრილს, მე, საქართველოს ნოტარიუს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. #23, პირველი სართული, მომმართა ბატონმა გიორგი კორსავამ, რომელმაც წარმოადგინა --აპრილი, 2015 წლის უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულება და მოითხოვა მასზე თავისი ხელისმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: საქართველოს მოქალაქემ ბატონმა გიორგი კორსავამ (დაბადების თარიღი: 02.07.1984, მამის სახელი: ალექსანდრე, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, მისამართი: თბილისი აკ. წერეთლის გამზ. კორ. 13 ბ. 53, პირადი #01007011205, პირადობის მოწმობის სერია: 11IA68472, მოწმობის გამცემი ორგანო: იუსტიციის სამინისტრო, გაცემის თარიღი: 11.11.2011 წ) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე თავისი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან განაცხადა, რომ წინამდებარე აქტის შინაარსი სრულად შეესაბამება მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ ხელშეკრულებას, რასაც ვამოწმებ

ხელშეკრულება ზე ხელმოწერა შესრულებულია ორ /2/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ყველა ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

მე, ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე არ ვადასტურებ წინამდებარე დოკუმენტში მოტანილი ფაქტის სისწორეს არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნამდვილად გიორგი კორსავას ეკუთვნის. დოკუმენტი შედგენილი და წარმოდგენილია ქართულ და რუსულ ენებზე, გიორგი კორსავამ ხელი მოაწერა დოკუმენტის ბოლო გვერდებზე ქართულ და რუსულ ვარიანტზე. გიორგი კორსავა წარმოადგენს შპს ''ჭავჭავაძის 64ბ'' საიდენტიფიკაციო კოდი: 404890891, (დირექტორი ლუარა ალშიბაია)

სს თელასმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური: თითოეული ხელმოწერისათვის ორი ლარი, 00 თეთრი, /2.00/ თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, 29 დეკემბერი 2011 წლის ''სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა დამტკიცების შესახებ" 31.3 მუხლისა და ასევე 39.1 მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი. სულ გადახდილია ათი ლარი 00 თეთრი. /10.00/

ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

TELASI 5 15 00042995

17/06/2015

შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს დირექტორს
ლ. ალშიბაიას

სს „თელასში“ შემოსული თქვენი N42995 წერილის პასუხად, სადაც თქვენ ითხოვთ, ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან არქიტექტურულ პროექტის შეთანხმებაზე სს „თელასი“-ს თანხმობას, გაცნობებთ, რომ სს „თელასი“ არ არის წინააღმდეგი, როგორც მომიჯნავე უძრავი ქონების მესაკუთრე, (რომელიც მდებარეობს ი. მოსაშვილის ქ. 3ა-ში, სატრანსფორმატორო ქვესადგური N3312; ს/კ 01,14,11,002,013) შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-მ (ს/კ 404890891) თავის საკუთრებაში არსებულ მითითებულ უძრავ ქონებაზე წარმართოს სამშენებლო სამუშაოები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა და შეათანხმოს პროექტი, იმ შემთხვევაში თუ სს „თელასი“-ს უძრავ ქონებას, ს/ქ 3312-ს, მდებარეს ი. მოსაშვილის ქ. 3ა-ში, ხელი არ შეეშლება ექსპლუატაციაში.

კორპორაციული განვითარების და საწარმოო
საქმიანობის უზრუნველყოფის დირექტორი ე. ბონდარენკო

შპს ზ. ანთაძეს

277 99 99

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
23.04.2015	23.04.2015

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	ჭავჭავაძის 64ა 404890908
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1302914
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1302914

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი #64ა-ს მიმდებარედ, მიწისქვეშა ავტოსადგომში ჩასასვლელის მოწყობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, №2 დანართით განსაზღვრული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან შეთანხმებით.
2. სამუშაოების დაწყებამდე, განმცხადებელმა უზრუნველყოს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილების (დანართებით), საპროექტო დოკუმენტაციის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემების წარდგენა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, საკითხის შესათანხმებლად.
3. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 11 (თერთმეტი) თვის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 16.02.11წ. №03.31.100 დადგენილება, ,,ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აქტის გამოცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის №05.44.204 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მერის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქ.თბილისის მთავრობის №17.19.830. დადგენილება